საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
№733 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 20 აგვისტო
№01-05-04/132 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ეკონომიკა
Economics

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი ელენე მენაბდე-ჯობაძე, პროფესორი დავით იაკობიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ეკონომიკის მაგისტრი (Master of Economics) *მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში*

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, არანაკლებ B2 დონისა ან B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის გასაუბრებას უცხოურ ენაში (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ) ფაკულტეტზე შექმნილ დროებით კომისიასთან. აპლიკანტს, რომელსაც დამთავრებული აქვს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უცხოურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გასაუბრებაზე გასვლა არ მოეთხოვება. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით და მოიცავს 120 კრედიტს. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი - 80 კრედიტი, კვლევითი - 40. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას.
საჭიროების შემთხვევაში XX კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისთვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა.
კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დროს.
სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო სემესტრის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ გვერდზე http://gtu.ge/Orders, სადაც სტუდენტებისათვის დეტალური ინფორმაციაა სემესტრის მიმდინარეობის, მინიმალური ზღვრისა და ვადების შესახებ.
მაგისტატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დოკუმენტში „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე: https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებით აღსავსე, ინოვაციებზე დამყარებული თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის განმახორციელებელი, დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარების მქონე, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური ეკონომიკის მაგისტრების მომზადება, რომელთაც ექნებათ: მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, მენეჯერული ეკონომიქსის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებენ ორიგინალური თეორიული და ეფექტიანი პრაქტიკული იდეების შემუშავება-განვითარებას, უცნობ ან მულტიდისციპლინარულ გარემოში წარმატებულ საქმიანობას.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

განიხილავს ეკონომიკის თეორიის განვითარების კანონზომიერებებს, ეკონომიკურ პრობლემებს მიკრო-მაკრო დონეზე, მათ გამომწვევ მიზეზებს, ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს;

მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე **კრიტიკულად აანალიზებს** მულტიდისციპლინარულ გარემოში წამოჭრილ პრობლემებს;

განსაზღვრავს უახლეს ცოდნაზე დამყარებული კვლევების როლს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;

შეიმუშავებს ინოვაციურ, ახალ, ორიგინალურ იდეებს;

ადგენს კავშირს თეორიას, კვლევასა და პრაქტიკას შორის;

კვლევის მეთოდების და ეკონომეტრიკის ცოდნას **იყენებს** საზოგადოებისთვის აქტუალური ეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის;

უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, **დამოუკიდებლად ახორციელებს** კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, პროექტების (რეფერატების) და სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად;

საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს **წარადგენს**, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;

დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს არსებული ცოდნის გაღრმავების დაგეგმვის გზით, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☒ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა ☒ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒ სამაგისტრო ნაშრომი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში

დისკუსია/დებატები
ჯგუფური (collaborative) მუშაობა
თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
შემთხვევების შესწავლა (Case study)
გონებრივი იერიში (Brain storming)
დემონსტრირება
ინდუქცია
დედუქცია
ანალიზი
სინთეზი
ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი
წერითი მუშაობა
ახსნა-განმარტება
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში (სამინისტროები, დეპარტამენტები და

ა.შ.);
სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს სახელმწიფო სექტორში და კერძო (ადგილობრივ და უცხოურ) კომპანიებში (ფირმები, კორპორაციები, სადაზღვევო, საშუამავლო და სადისტრიბუციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საექსპორტო-საიმპორტო სააგენტოები და სხვა);
სამეცნიერო და ანალიტიკურ სტრუქტურებში;
სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
საერთაშორისო ორგანიზაციებში;
სახელმწიფო და კერძო ერთობლივ საწარმოებში;
მრეწველობის სხვადასხვა დარგებში;
არასამთავრობო სექტორში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 29

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
	სავალდებულო სასწავლო კურსები					
1	**საქმიანი კომუნიკაცია (ერთ-ერთი ენა არჩევით)**					
1.1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	არ აქვს	**5**			
1.2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)					
1.3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)					
1.4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)					
2	აკადემიური წერა	არ აქვს	**5**			
3	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	არ აქვს	**5**			
4	მიკროეკონომიკა II	არ აქვს	**5**			
5	თანამედროვე ეკონომიკური თეორიები	არ აქვს	**5**			
6	ქცევის ეკონომიკა	არ აქვს	**5**			
7	ცოდნის ეკონომიკა	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში		**5**		
8	მაკროეკონომიკა II	მიკროეკონომიკა II		**5**		
9	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	მიკროეკონომიკა II		**5**		

10	ეკონომეტრიკა II	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში		**5**		
11	მენეჯერული ეკონომიქსი	თანამედროვე ეკონომიკური თეორიები		**5**		
12	ეკონომიკური განვითარება	თანამედროვე ეკონომიკური თეორიები		**5**		
13	საერთაშორისო ეკონომიკა II	მაკროეკონომიკა II			**5**	
14	ეკონომიკური პოლიტიკა	მაკროეკონომიკა II			**5**	
15	**არჩევითი სასწავლო კურსები**				**10**	
15.1	სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში	მეორე სემესტრის ჩათვლით ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი			**5**	
15.2	**დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ერთ-ერთი ენა არჩევით)**	არ აქვს				
15.2.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	არ აქვს				
15.2.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)	არ აქვს				
15.2.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)	არ აქვს				
15.2.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)	არ აქვს				
15.3	საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე	არ აქვს				
15.4	ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება	არ აქვს				
15.5	გლობალური ეკონომიკა	არ აქვს				
15.6	საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება	არ აქვს				
15.7	საერთაშორისო ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკა	არ აქვს				
15.8	გეოეკონომიკა	არ აქვს				
15.9	ინოვაციური მენეჯმენტი	არ აქვს				
16	**კვლევითი კომპონენტი:**	I, II სემესტრების ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი			**40**	
		სემესტრში:	**30**	**30**	**20**	**40**
		წელიწადში:	**60**		**60**	
		სულ:	**120**			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.1	**LEH16312G3-LP**	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5/125	15		30				2	2	76
1.2	**LEH16412G3-LP**	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	5/125	15		30				2	2	76
1.3	**LEH16612G3-LP**	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	5/125	15		30				2	2	76
1.4	**LEH16512G3-LP**	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	5/125	15		30				2	2	76
2	**LEH14612G2-LS**	აკადემიური წერა	5/125	15	30					2	2	76
3	**SOS16212G1-LS**	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5/125	15	30					2	2	76
4	**SOS16512G1-LS**	მიკროეკონომიკა II	5/125	15	30					2	2	76
5	**SOS15312G2-LS**	თანამედროვე ეკონომიკური თეორიები	5/125	15	30					2	2	76
6	**SOS15412G2-LSK**	ქცევის ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
7	**SOS10712G1-LS**	ცოდნის ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
8	**SOS16412G1-LS**	მაკროეკონომიკა II	5/125	15	30					2	2	76
9	**SOS16112G1-LP**	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5/125	15		30				2	2	76
10	**SOS15812G1-LPB**	ეკონომეტრიკა II	5/125	15		20	10			2	2	76
11	**SOS15612G2-LP**	მენეჯერული ეკონომიქსი	5/125	15		30				2	2	76
12	**SOS16012G1-LS**	ეკონომიკური განვითარება	5/125	15	30					2	2	76
13	**SOS15512G2-LSK**	საერთაშორისო ეკონომიკა II	5/125	15	30					2	2	76
14	**SOS17212G1-LS**	ეკონომიკური პოლიტიკა	5/125	15	30					2	2	76
15.1	**SOS17112G1**-LS	სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში	5/125					45			2	78
15.2.1	**LEH12512G1-LP**	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	5/125	15		30				2	2	76
15.2.2	**LEH12712G1-LP**	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)	5/125	15		30				2	2	76
15.2.3	**LEH12312G1-LP**	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)	5/125	15		30				2	2	76
15.2.4	**LEH12912G1-LP**	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)	5/125	15		30				2	2	76
15.3	**SOS17012G1-LS**	საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე	5/125	15	30					2	2	76
15.4	**SOS15912G1-LS**	ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება	5/125	15	30					2	2	76
15.5	**SOS15712G1-LS**	გლობალური ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
15.6	**SOS56112G1-LS**	საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება	5/125	15	30					2	2	76
15.7	**SOS16812G1-LS**	საერთაშორისო ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76

15.8	**SOS15612G1-LS**	გეოეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
15.9	**BUA33213G1-LSP**	ინოვაციური მენეჯმენტი	5/125	30	12	3				1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ელენე მენაბდე-ჯობაძე
დავით იაკობიძე

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
10.05.2011წელი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
13 აგვისტო, 2021წელი
ოქმი №65
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი